

ნახ. შ. ლელაძისა



— ასე, შე დალოცვილო! გეტყობა, გარდაქმნილხარ: აღმა ისეთი
ჭუჭყიანი ფული მოგპონდა, კაცი ხელს ვერ მოჰკიდებდა!..

ანონიმური სიმღერა ნაყ მიყმვენი

მეყდსა ♥ თან!



ანონიმური წერილი და ანონიმური სიტყვა? — ორივე ერთად დალაზვროს ღმერთმა!

რიკოტის წყაროსთან გაგონილი

ანონიმურ წერილს
რაც ეკუთვნის, იცი, —
არ გჭირდება განსჯა,
არ გჭირდება ფიცი!..

ო, იმ უსასელომ
ბევრს გაუშრო სისხლი,
მაგრამ შიში მაინც
არ მქონია მისი! —

მაჟრჟოლებდა უფრო
და მაჟრჟოლებს ახლაც
სიტყვა, რომლის კვალსაც
ვეღარასდროს ნახავ!

ანონიმურ ნესტარს
ხუმრობით და ხვნივით
ზოგი ვინმე კიდევ
მარჯვედ ხმარობს ჩვენიში!..

ავი სიტყვა რჩება,
არსადა ჩანს მთქმელი, —
ძალამ სიმართლისამ
რომ წაავლოს ხელი!

არცა მსმენელს ახსოვს, —
ვინ უთხრა და როდის, —
სიტყვა, გულს რომ აწევს,
როგორც მძიმე ლოდი!..

თუმცა ხშირად ლამობს,
თუმცა ზოგჯერ ნატრობს, —
ვერ იხსენებს ბრძენიც
ავი სიტყვის პატრონს!

ლოდი ლოდად რჩება,
შხამი სულში შედის!..
და ვინც დაიგესლა, —
გაგლახ მისი ბედი!

რომ ეძიო, იმ კაცს
ვერ იპოვი ვერსად,
ვინც მოწამლულ ენას,
როგორც ხანჯალს, ლესავს!..

კაცთა გულწრფელ ნდობას
ვინც იყენებს მრუდად

და ჰკიდია ზურგზე
მხოლოდ ჭორის გულა, —

გულას თავს რომ მოხსნის,
ვაი ჩვენი ბრალი! —
ანკარა და წმინდა
აიმღვრევა წყალი!..

აირევა ძმობაც,
რომ ჰყვოდა გუშინ,
უძირფესვო ეჭვი
ღაიბუდებს გულში!

რას დაგიდევს ჭორი
სიბრძნესა და ჭკუას?! —
აატირებს მართალს,
გამართლებს მტყუანს,

აღამაღლებს ორგულს,
ერთგულს დაამცირებს,
გაახარებს უღირსს
და მტერს გააცინებს!

შენც, მკითხველო ჩემო,
არ მიიღო ცუდად
და მოკეთის რჩევა,
გთხოვ, გახსოვდეს მუდამ;

არ დაუგდო ყური
ძმის გამკილავ სიტყვას,
რაგინდ ქარაგმულად
და შეპარვით ითქვას;



რაგინდ ოსტატურად
მოგცეს ხელში დანა, —
გამოაგდე კარში
სიტყვა — ჭორიკანა!.. ,

ნაჩურჩულევ სიტყვას
დაუჩაგრავს ბევრი!..
სიბრძნეს როდი ფანტავს
ყველა ენამჭვერი!..

თუ გსურს ქვეყანაზე
სულ სიკეთეს თესდე,
თუ გწადია კაცში
არასოდეს შეცდე, —

შეფარვით და მალულ
რაიც სხვაზე ითქმის,
არ მიუშვა გულთან! —
სიცრუეა თითქმის!

აღარ შეგაცდინოს
ცრემლთა დაპალუპმა!..
ერთს აქებენ ზოგჯერ
სხვათა დასალუპად!..

სხვათა დასაცინად
აღამაღლებ ნურვის
და უსმინე მხოლოდ
მოძმის წმინდა სურვილს!

შავი შურის შფოთვა
ამხილე და დაგმე!
საზომია კაცთა —
საქმე, საქმე, საქმე!

აგრე, ძმაო!.. თუმცა
ყველას როდი შევლის,
რასაც ურჩევს გულით
უტა ოდიშელი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარი გაზეთი

ნოვემბერი

— მოგვენატრეთ, ბატონო გრიგოლ! რამდენი ხანია, ჩვენს ქალაქში არ ჩამობრძანებულხართ! — გულწრფელად შევესაუბრე მეგობარს და ვთხოვე მოვენახულებინეთ.

— არა, ძმაო, მოსაკლავი თავი არ მაქვს! თქვენ ხომ ღვინოში ჩახრჩობა იცით?!

თვითონვე შეატყო, კუჭტი პასუხი გამოუვიდა და გაღიმებულმა მომმართა: — რა სჯობია თქვენთან სტუმრობას, ქუთათურებმა როგორი მასპინძლობა და მოფერება იცით, მაგრამ უკვე ასაკში ვარ და ჯანმრთელობასაც ვუფრთხილდები, თავზე ხელაღებულმა სმამ და ჭამამ ინფარქტი მასწობელ სტუმრად აქცია!

რა მეთქვა? სიმართლე შეიძლება ავად გახდეს, მაგრამ არ მოკვდებაო! — უთქვამთ კარგი გაგებით, მაგრამ ამ შემთხვევაში სრულიად საწინააღმდეგო მომენტთან მქონდა საქმე.

ამას წინათ სასიხარულო ცნობა მივიღეთ დედაქალაქიდან: ტრესტიდან ექსკურსიაზე ჩამოდიოდნენ ჩვენს ქალაქში.



დიდი გულმოდგინებითა და პასუხისმგებლობით შევუდექით სამზადისს, ვერ დაფხარავთ, რომ მთელი ყურადღება ბანკეტისაკენ გადავიტანეთ. მოკლე თათბირზე ლაკონიური მითითება მივიცი — პურ-მარილი უნდა იყოს ზღაპრული, გაგიჟებული უნდა გავუშვათ ჩვენი სტუმრები!

ყველას თვალებიდან ამოვიკითხე, რომ ერთსულოვანი მხარდაჭერა მქონდა.

სტუმრებს დილის მატარებელზე დაეხვდი და უმაღლ საგარეუბნო რესტორნისაკენ გააქანეთ ხაშუ.

ხაშის ჭამა დამთავრებული არ გექონდა, რომ მოადგილემ გადმომიჩურჩულა: — სუფრა ღარიბული მეჩვენება და ხომ არაფერი შევმატოთ?

— რაღა საკითხავია, — უმაღლ დავეთანხმე წინდახედულ წინადადებას და ის იყო, ღვინის ჭიკით სავეს არაყით წარმოვთქვი: სამი სახარება შეგვეყიოს-მეთქი, და მაგიდა აივსო შამპანურებით, ფხალეულით, თევზეულით, შემდეგ მოჰყვა ჩაშუშული, ჩაქაფული, ხაშლამა, მრგვალად მოხარშული დედლები, შემწვარი წიწილები, სუკის მწვადები... ოფიციალტი ჩვენ აღარ გვისმენდა, ისე კონვეიერული წესით მოჰქონდათ ნაირნაირი სანოვაგე...

ოფიციალტი ზეპირად მოგვართვა ანგარიში, უმაღლ გადაგვთვალა ცხვრებივით და კაცის თავზე 100-100 მანეთით გამოგვისტუმრა. გულში ვფიქრობდი, რომ მართლაც ცხვრები ვართ.



— ახლა ქუთაისის ღირსშესანიშნოაზნის დავთვალეიროთ! — წარმოთქვა პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ და სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ პირში ეცა ჩვენი მომმარაგებელი, რომლის ოჯახშიც გვექონდა გაშლილი ახალი სუფრა.

— რას ბრძანებთ, ბატონო?! თუ გადაცივდა და გადაბლიგვდა ყველაფერი, მაშინ რაღა ფასი ექნება პურ-მარილს, რომლის დამზადებაზე მთელი კოლექტივის ქალთა პერსონალი და მთელი ოჯახი ორი დღეა თავაუღებელივ შრომობს?!

— საღამომდე ყველაფერს მოვასწრებთ! — მეც ავტორიტეტულად ჩავურთე და სტუმრები მიკროავტობუსში ჩავსვით.

— სუფრიდან ხომ ახლახან ავდექით? — გაისმა აქა-იქ მოკრძალებული ხმა, მაგრამ ტრესტის მმართველის დუმილს უმაღლ წყვიდადისებური სიჩუმე მოჰყვა.

თამადის არჩევა ჩვეულებისამებრ გაგვიჯანჯლდა, ყველამ თავაბტიყო დაიწყო, მაგრამ ბოლოს ჩემს წინადადებას ერთხმად დაუჭირეს მხარი:

— ბატონ ტიტაკოს ვთხოვთ, ომის დროს ცოლ-შვილს თამადობით არჩენდა და უკეთეს კანდიდატურაზე ფიქრიც არ ღირს!

თამადა შეუდგა საპატიო მისიის შესრულებას, მართალია, ანაპოდისტე ცხადამის



სუფრის კოდექსის მიხედვით, 67 სადღეგრძელო არ წარმოთქმულა, მაგრამ არც ბევრი დაკლებია. ისე მიქარგ-მამარგა ყველაფერი და მუსიკასაც ისეთი ატმოსფერო გაუქეთა, რომ მაშინვე ეშში შეიყვანა სუფრა და მისი დატოვება ნაადრევად არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

რესტორანში წარმოდგენილი მენიუ ზუსტად განმეორდა, მაგრამ მას დაემატა გოჭი, ბატკანი, კუჭმაჭი, ბეჭი, ხინკალი, ხორციანი ღვეზელები, საცივი, ღომი, რიონის წვერა, ხაჭაპური, ათასნაირი ნამცხვარი და, რაც მთავარია, ერთად დაწურულ ციცქა-ცილიკაურს პირს ვერავინ წყვეტდა.

ალკოჰოლმა თავისი ვაიტანა, ახმაურდა მომსვლელ-დამხვდური, თამადა კი მთავარსარდალივით იღვა პოსტზე და დინჯად განაგრძობდა სადღეგრძელოებს, თუმცა ბევრს უკვე მოსმენის თავიც აღარ ჰქონდა,

— სუფრა ხელიდან მეცლება, არ გავილანძლოთ! — სახელეწილი მეუბნება ბატონი ტიტაკო და შევლას მთხოვს.

უკვე მეთუ საათია, რაც ვზივართ და ერთობ დავიღალეთ კიდევ! — ვფიქრობდი გულში და გამოსავალს ვეძებდი.

უცებ თვალები გამიბრწყინდა და ტრესტის მმართველს გადავუჩურჩულე: — ისტორიული ძეგლები ხომ არ მოვიანსულოთ და შემდეგ გავაგრძელოთ?..



— დამალამები ჩემს საყვარელ ამ დიდებულ ოჯახში! — ხმამაღლა შემეპასუხა მმართველი და ჩვენი კუთხის სადღეგრძელო ვენებერთელა ფანჯრით მეორედ დალია სულმოუთქმელად.

სამი საათი კიდევ გაგრძელდა სუფრა და უფროსს კიდევ უფრო მორიდებით შევაპარე:

— დაღამდა, ივანიჩ!

— ახლა გამათენებინეთ, ჩემო იმერო, ზრდილნო, და გელათიდან დამანახეთ იმე-რეთის ცისკარი! — დაიქუსა მმართველმა და „მასვი, მაჭამე, მალხინე!“ წამოიწყო.

მეორე დღესაც ისევ გულდასმით შემოვუსხედით მაგიდას და როცა ღრმა ქეიფში შესულმა უფროსმა კვლავ გადმოიქუსა — ნეტავი ხვალინდელი ორშაბათიც გამიკვირავდესო, მისი მეუღლის ისტერიკულმა შეკვივლებამ ყველა გამოგვაფხინლა!..


დილით პირველ რიგზე გავაცილეთ სტუმრები, ყველანი გვიღიმოდნენ მასპინძლობისათვის! ღმერთმა ნუ მოგვიშალის ქართული პურ-მარილის მადლი, მაგრამ გასტრონომიული ტერორისაგან გადარჩენილთა შეწუხებულმა სახეებმაც მკაფიოდ შემახსენა, თუ რა ფასი აქვს „ოქროს ზომიერებას“!

გივი ვაფისაშვილი
(ქ. ქუთაისი)

ილუსტრაციები მ. აბაშიძისა

— კი ბატონო, ახალ ბზნას მოგცემთ, მაგრამ რად გინდათ?!
რემონტის გადაწყვეებით და შიგ შესახლებას ვერ მოესწრებით!

ქვეყნული
ბავშვთა



დღეში უბედურში
იყვნენ როდის არა?!
იყვნენ როდის არა?!
ვგონებ, იმავე დღიდან,
ვგონებ, იმავე დღიდან, —
მასივებს ოდეს
ლიბო ჩაეყარა!..

ზოგი დაიბოღმა,
ზოგმა გაიხარა,
ბევრმა
კარ-ფანჯარა,
ბევრმა
აბაჯანა,
მათთან
სამშენებლო
ბევრი სხვა

ჰაი, ჩვენი ბრალი!

მუხრანისკუთხედ

ველარ ხარხარებენ
ბედკრული გლდანელები,
ბედკრული დიღმელები
და ვაზისუბნელები!..

ქუჩები — სულ ბნელები,
ონკანი — ხახამშრალი,
ხან არც — ცხელი წყალი,
ხან არც — ცივი წყალი!..

ვაი, ჩვენი ბრალი!..

ნიკოლოზ იოსებიძე


მასალა
გარეთ გამოყარა!..

სიცოცხლე დულდა
და ჩარხი ბრუნავდა,
ნაგვის გატანაზე
არავინ ზრუნავდა!..

ნაგავი გორებად
გარს ერტყა სახლებს
და სასპარეზოდ
ექციათ
ძალღებს!..

მხოლოდ ერთადერთი
ახსოვთ ოქროს ხანა,
როცა „წყალსადენმა“
წყალი გაიყვანა
(თუმცა — არა ყოველდღე,
მოდის ხანდახანა!)
და ხალხმა „ბორჯომით“
დაიწყო დაბანა!..

წყალი ეძლევათ
დადგენილ გრაფიკით,
ქუჩიდან ქუჩაზე
დარბიან გრაფინით.



ოქსაზარი ფინანსოვანი

— მოაჭერ თითს და გამოვცა „ბუხიან“, მოაჭერ თითს და — კატალები მიღის, მოიწვევს ინანან — წამოვა დინო, რა საჭურია ამდენი მოთლი?!“

უფურებს ცილ სარტვ მანქანას, ათვალეობებს გერმანულ ფურნულს, დიდა იმის ნატვრის საგანი, მე კი ვამოვიღებ: — „ფურნალი სტუპა!“

არა იმბრო, რომ ტუვილს წერენ და შინ არ მისდით რძე და კარაბი, მაგრამ მე ვამბობ: — შერე და შერე როგორ იყვირებს ტყინის ქალაქი?!

სომ დაემტკიცებენ რობოტს ვეღლინი, თუ საქმე მარტო ღოღაჯე შიდა, ვერ დამარწმუნებს, ვიცი, ვერაფერი ცნობრობდეს კაცი იქ წავეულ დიდხანს!“

და თუშეა ცოლმა აქ შიშახსენა არწივისა და ვეფხვის ოჯახი, მე უიღბო მტრადვე როგორც არჩენა, და, როგორც მეუღლს, სწორი ვიყავი!

საქართველო თავისი მახარებად დასთქვამი

ღამით უწვები, ვფიქრობ ჩემთვის: კაცი ვარ და კაცი მთქმის; არ გავრძელდეს უნდა ასე, როგორც დღემდე ვგვხვობო-მეთქი!

გათენდება დილა თუთო, სული მიდგას, ვფიქრობ ჩემთვის: სხვამ იტყვოს ქვეყნად თავი, რას გავაწურო მარტო-მეთქი!

ღამით უწვები, დღით ვდგები, მიღრგნეს ზოგიერთი ავი! — ღამით გვირი მქონია და დღით არ მომიწონს ჩემი თავი!

ფინანსადული კამის სახუარბი

ფული იშოვა მეზობელმა, უზომოდ დიდი, სახლი დაიდვა, შემოიღობა, ჩაფარა ვაზი, ცილი შეიერთო, გაიჩინა მრავალი გვირიტი

და ვეს გახდო, მახარობელს, თავისი ახრი:

„აი, ბაბაგეს, ეს ვიშოვე ჩემი ხელეგებით, ხელის ღრო გავა და საჭირო ვახდებ: თავი, დია მივყარა, შენე ხედავ და მე ვერ მეგანა ვასოვდეს, გამახარებ, გულევი, მარტოდენ სწავლით.“

რომ არ მესწავლა, სომ ვივლიდი შმიგრი პირით, შმიგრი შვილავ ვერ გააჩნეს, თუ კარგად ვახსოვ, არც იმას ვიტი, რომ სასტრუქო შერევის წილი, მაგრამ შენ მაინც ნუ გამოვლავ ჩემგერი კვიც!“

სიღატაკი შერევისა და

1. შახსარი სულგოვის იბავი
ეროხელ, როდესაც სეირნობდა იმპერატორი და გვერდით ახლდა ღა მია შინი,

მან დინანა მოღრუბული ცის კახადონი და სხაურობა ჩაესმა წვიმის,

თქვა: „ღონეს იკრებს საშინელი ღვართაფი შიამი, ნისლმა დაფარა გუგუნის კალა“. პოეტმა ხელი შეუწყო ხელმწიფეს მელაგში და აწმირი სიტყვები უპაღრა:

„თავი იტყვოს, ვერ შეშოვა ქალაქში წვიმა, თუშეცადა ჩქარბოს და მოღის მღველი“. იმპერატორმა აქ თქვა: „რატომ?“ და მია მინნა ფართოდ გამაღა ორივე ხელი:

„ისე ღიღია, ხელმწიფეო, თქვენი შვეარა, ვერ შეშინებდავს ქალაქში რიღით...“

2. შახუშახარი სულგოვის იბავი
წმირსუნება იმას ატეხ მთელმა ქვეყანამ, მოწყლე ვახდა ხელმწიფე დიღი. იმპერატორი თვეზაობით იყო გართული, არ მოიღოდა ანტესთან თვეზი...

დახატა წყალი, ხევიანი და ფანატური და ღამ მართვა ხელმწიფეს ღვესი: „წყალში ტივივებს ტივივებლა, დღე არი წყნარი და ვახაფხულის წყალი თიღოლო, ღაცურავს ტბაში ლიფსიტების უშქარი და საცუენავი თუშე ტბოლია, ვარი არ ეკარება სატყუარას ერთი მთავანიც, რადგანაც ვეღვა არის უშქარი, დიღია თქვენი სურფიდა და მუეცლის ფრადალი, თქვენ თუ გვეუფათ, მხოლოდ ვეშაპი“.

იმპერატორმა ჩაითხნა ღვესი... წამოღდა, და ამოილო ანტესი წყლიდან: „შენმა მოიგო, — უფრო მან ღის, — შენი გამოღდა“, და სარხარებად ძალიან დიდხანს.

ბებიანებმა ვაუტვა ქათამი, ღარჯაზე ქათამ ჩამოკოდა, ქათამი წყლით ვაგახტელა და მდღარბრები ჩაუჭვა ქათამი, ხოლო მისი თუთი ბუმბული, ალავ წითელი სისხლით დახერილი ცუტლს შეუკოდა. ის ბუმბული, ქათამი რომ ეფერებოდა, სისკარტს რომ ვაუტვ-ვაშოუტვამდა, რომლითაც თავი მოჰქონდა ადრე, წამში ახრიალდა, როგორც ბურბურული,

და თუშეა ოლენა, მაგრამ მაინც დააშქარა ჩვენი სადილობა!

საქართველო თავისი მახარებად დასთქვამი

„საქმე ბეგობა, ცხადია, მაგრამ მარტო მე რა გევა, მქაქაქა...“ ვერ ვაშაშაქვო მარტო მე, სოფელს... ამრიგად ფიქრობს ვერ კიდევ ბეგრი და იმას ცდილობს, მოითხოს ხელი, წაღლიტოს რაზე ქვეყანას მომთხენს!

ბებიანებმა ვაუტვა ქათამი, ღარჯაზე ქათამ ჩამოკოდა, ქათამი წყლით ვაგახტელა და მდღარბრები ჩაუჭვა ქათამი, ხოლო მისი თუთი ბუმბული, ალავ წითელი სისხლით დახერილი ცუტლს შეუკოდა. ის ბუმბული, ქათამი რომ ეფერებოდა, სისკარტს რომ ვაუტვ-ვაშოუტვამდა, რომლითაც თავი მოჰქონდა ადრე, წამში ახრიალდა, როგორც ბურბურული,


და თუშეა ოლენა, მაგრამ მაინც დააშქარა ჩვენი სადილობა!



სანიტვილ



— შახიკო, შენ რომ მოხარბი, დედაშინა ბურთოვით მრავალიო, ეხხა მრავალი!



სანიტვილ

— კაცი ხარ, ძამა, ქვეყანაზე, კაცი! ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუნის კოლმეურნეობის წევრად ითვლები, სინამდვილეში კი კვირიდან კვირამდე რაიონის გარეთ დასვარდობი... არაფერი არ გაქვია!.. რა გიჭირს, მიუჯდები შენი საკუთარი „ვიგულის“ საჭეს და ხან აღმა დააქროლებ და ხან დაღამა! ხომ მშვიდობაა? რაფერაა მაგი, ნატანებში რო გვესტუმრე? გზა ხომ არ შეგეშალა?! — ღიმილით, ხელგაშლით მიეგება მეგობარს ილია კვარაცხელიძე.

ხუცუნელი გრიგოლ ხმალაძე ძლიერ გადმობობდა ავტომანქანიდან და ნატანებელი მეგობრის გამოწვდილ მარჯვენას თავისი შეაგება.

— ასე იღებთ, ბიჭო, სტუმრებს?!
— აბა არა? კი! სტუმარი მიყვარს ისეთი, კბილი არ ჰქონდეს არც ერთი!.. — ჩაიქირქილა ილია კვარაცხელიძე.

— გურულებს ვინ მოგიგებთ სიტყვაში! გურიელს ჰკითხვს: საიქიო შორს არისო? რა ვიცი, მამაჩემი ორმოცდაათი წელიწადია, რაც წასულია და ჯერაც არ დაბრუნებულაო! ჰოდა, ასეა ეს! შენი დახმარება მჭირდება!..

— ჰოდა, აგერ არ ვარ?!
— ყოფილი მაქვს სათამაშო. „ბატკნები“ მყავს გამოჭერილი. მაგი საქმე იქ, ქობულეთში, არ გამომივა!.. ეგებ მიმასწავლო, ბინას რომ აქირავებდეს ვინმე და თანაც კაცი რომ ენდოს!..

— კი, ძამა, მიგასწავლი, არის ასეთი ქალი, ისიც შენსავით ვითომ კოლმეურნეობის წევრია!.. ბინას აქირავებს ასეთ საჯაყ საქმეებზე!..

— როგორი ქალია?

— ზღვას ცეცხლს წაუკიდებსო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი ქალია ეთერ ჭაბუკიანი, მხოლოდ ესაა, ოთუზირს გამოგართმევს ბინის ქირას!..

— ფაფის შეშინებული დოს უბერავდაო. მაგის ჯავრი არა მაქვს, მოგებული ფულით გავისტუმრებ. კაცობას გაფიცებ, მიმეყვი ერთი იმ შენი ზღვის ცეცხლის წამკიდებელ ქალთან!

— კაცმა კაცის ხათრით ხოხობი შეჭამაო. წაიდეთ!

მართალია, კოლმეურნეობაში გაგანია სამუშაო დღე იყო, მაგრამ ჩვეულებისამებრ „სოფლისმშენებელი“ ეთერ ჭაბუკიანი სახლში ნებივრობდა. ილია კვარაცხელიძემ ერთმანეთს გააცნო ქალი და კაცი.

— ჩემო ეთერ, კაცური კაცი მოგიყვანე! ბინა სჭირდება დროებით!.. თანხაზე არ ვაწ-

დახმარების დათვალი



ფელატონი

ყენინებს! დანარჩენი თქვენ იცით! მოილაპარაკეთ! მე კი დაგტოვებთ, საქმეზე მაგვიანდება!

— პირველი ნახვა ცნობაა, მეორე ნახვა ძმობაო, ჰოდა, პირდაპირ გეტყვი, ქალბატონო ეთერ: თქვენი ოთახი არც საცხოვრებლად მინდა და არც საჭიფოდ. ხანდახან კვირაში ერთხელ ან ორჯერ ქობულეთიდან ჩამოვისეირნებ მეგობრებით, პეტერე კარტს წვეთამაშებთ, გავერთობით!.. თქვენ თქვენი ანგარიში მიიღეთ!..

— მაგი საჯაყი საქმე ვიცი მე!.. ჩემთვის მაგი „წათამაშება“ უცხო არ არის! არც ბინის ქირა მინდა!..

— ?!

— მოგების წილში უნდა შემეყვანო!
„იმერეთს ქალი დამარხეს, ამერეთს მარგლის ბაღასო“. — სწორედ ამ ქალზე ყოფილა ნათქვამი — გაიფიქრა გრიგოლ ხმალაძე, — კი, ბატონო, სულ უდღობას დედინაცვლობა სჯობია! თანახმა ვარ პირობაზე. რასან შევთანხმდით, ოთახიც მანახე! სათამაშო მაგიდას ჩემებურად მოვაწყობ: ხომ გაგიგონია, ხერხი სჯობია ღონესო!..

ოთახში დაბალი მაგიდის ირგვლივ დაბალი სკამები შემოეწყობ.

გრიგოლმა საქმიანად, დაკვირვებით

დაათვალიერა მაგიდა. მისი ზედაპირი ხელთაც კი მოსინჯა, შემდეგ ჯიბიდან მაგნიტის ორი წვრილი ნაჭერი ამოიღო და მაგიდის მარცხენა კუთხეში ქვემოდას ოსტატურად მიაჭვდა, რომ უშეშავედ ვერ შეამჩნევდა.

როცა გრიგოლი ყველაფერს მორჩა, ჯიბიდან კამათლები ამოიღო და ერთხელ კიდევ შეათვალიერა. კამათლის იმ ზედაპირზე, რომელზედაც „დუშაში“ — თორმეტი პანაწიკიტელა შავი წერტილი იყო გამოსახული, თორმეტსავე შავ წერტილში მაგნიტი ისე ოსტატურად იყო ჩასმული, მიკროსკოპითაც გაჭირდებოდა დანახვა.

— ესეც ასე! აბა, ახლა სავარაუდოდ გავაგროთ! — გრიგოლმა კამათლები ხელში ოსტატურად შეათამაშა და მაგიდის მარცხენა კუთხისაკენ გააგორა. კამათლები „დუშაში“ დაჯდა. გრიგოლმა კიდევ და კიდევ გააგორა და ყოველ გაგორებაზე კამათლები „დუშაში“ ჯდებოდა!..

— ფრინველი ზუმბულით იცნობა, კაცი საქმითაო! — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა გრიგოლ ხმალაძე, კამათლები სათუთად შეახვია ცხვირსახოცში, სახლის პატრონს გამოეშვიდობა, დაუბარა, სვალ გინახულებთო და კმაყოფილმა საკუთარი მანქანით ქობულეთისკენ გასწია.

პირობისამებრ გრიგოლ ხმალაძე თავის „სტუმრებთან“ მეორე დღეს ეწვია ეთერ ჭაბუკიანს.

ხმალაძემ ჯიბიდან ფული ბლუჯად ამოიღო. წინ დაიღო და სტუმრებს ომანხანად მიმართა: — აბა, ხართ იქონ, სულ იქო, ბანკში 100 მანეთია!

— მოდის!..

გაჩაღდა თამაში!..


„გმირის“ პოზაში მხრებგამართული გრიგოლი კამათელს მაგიდის მარცხენა კუთხისაკენ აგორებდა. ყოველ გაგორებაზე „დუშაში“ გარანტირებული იყო, რითაც მოგებაც იზრდებოდა, რა თქმა უნდა, გრიგოლ ხმალაძის სასარგებლოდ, მაგრამ ნათქვამია, როგორც დაიგებ, ისე მოისვენებო!..

ჰოდა, სასამართლოს განაჩენით გრიგოლ ხმალაძე და მისი ამფსონები ამჟამად სასჯელს იხდიან: სხვადასხვა ვადით „ისვენებენ“ შრომაგასწორების კოლონიაში. სასამართლომ არც ეთერ ჭაბუკიანს — „დასწყვიტა გული“!..

ზაალ მესხვინიანი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

ნახ. შ. აბაშიძისა



უსიტყვოდ

ქართული ჩემკენა

ილუზიონისტს ძალუძს, საგანს
უცვალოს სახე,
მოჩვენებითი სასწაულით
ამოს მნახველს!..

ამ ხელოვნებამ, მიჩნეულმა
მითად და ზღაპრად,
მომსახურების სფეროშიაც
გაშალა აფრა:



მიბარებული ქიმწმენდში
შარვალი მქონდა,
იგი აქცია ხელოსანმა
ნაირფერ შორტად!..

ხოლო მეზობელს კაბის ნაცვლად
ხალათი დახვდა!..
ერთმა კლიენტმა მისი ჭემპრი
ვერ იცნო ნაღდად!..

აქ შეკვეთებსაც აქრობენო,
ისიც მსმენია,
რაც სიუალების და ხელმრუდობის
ავი სენია!..

რომ არ მოიქცნენ „ქიმწმენდში“
ესოდენ ყალბად,
ჭერ თვითონ უნდა გაიწმინდონ
სინდისი, ალბათ!

ზოთა ამირანაშვილი




უსიტყვოდ

ნახ. ი. ყვინაშვილისა

ეჭვი

- მაშასადამე, თქვენ ამტკიცებთ, დაზარალებულო, რომ ქურდი
ლამით შემოიპარა თქვენს ბინაში, გაძარცვა ბინა, მერე მძინარეს
თითიდან წაგაცალათ ძვირფასთვლიანი ბეჭედი, მაჯიდან აგხსნათ
ოქროს საათი და თქვენ ვერაფერი გაიგეთ?
- ვერაფერი... მეორე დღემდე!
- მაშინ იქნებ ის მაინც მითხრათ, ეჭვი გაქვთ ვინმეზე?
- ერთ-ერთ ჩემს თანამშრომელზე!
- რატომ? წაჩხუბებული იყავით, ცუდი თვლით გიყურებდნენ,
შურდით თქვენი?
- არა, პატივცემულო გამომძიებულო, მსგავსი არაფერი ყოფილა!
- მაშ, რა საფუძველი გაქვთ ეჭვისთვის?
- სამსახურის გარდა სხვაგან არასოდეს მძინებია და მხოლოდ
მან იცის, რომ თუ ჩამეძინა, მერე ძალიან ძნელია ჩემი გაღვიძება!

ნაწული ჯაჰანაშვილი



უსიტყვოდ

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



უსიტყვოდ



ფელატონი

სოფლით ქალაქს მივაშურე, თავს გადამხდა დიდი ჭაფა. სავაჭრო ცენტრს მივადექი, რომ მეყიდა თუჯის ტაფა. არ გეგონოთ, ტაფას ვეძებ ხაოცარს და განაკვირადეს — ტაფის ძებნას შევალე პარასკევი, შაბათ-კვირაც... მაგრამ ფუჭად ჩაიარა გულმოდგინე ჩემმა გარჯამ, მაღაზია არ დავტოვე, ტაფა მაინც არსად არ ჩანს... „ჩემო ბებო, გამიგონე! — მითხრა ერთმა გააყიდველმა, — თუჯის ტაფა არ მინახავს, გაიარა თითქმის წელმა!.. ვერ იშოვი, თავს ნუ ილლი, ის იყიდე, რასაც ხედავ! თუჯის ტაფა ოცნებაა, უმისოდაც იყავ მხნედა!“

უველაფერი ძველმოდური დარჩა მხოლოდ მოგონებადი... ემ, სადა ხარ, თუჯის ტაფავ, მოგიხმარო ნება-ნება... რად მიეცა თუჯის ტაფა ასე მალე დავიწყებას? ნუთუ უველა კარგი საქმე უსათუოდ დავით წყდება?!

თ. იანგი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიზე-
დვით აბრა, ანუ ფირნიში არის წარწერები, რომლებიც
ზოგჯერ ნახატებიანი დაფა, რომელსაც მანქანებზე
სავაჭრო-სამრეწველო საწარმოებზე, სახელოსნოებზე,
საზოგადოებრივსა თუ სახელმწიფოებრივ დაწესებულე-
ბებზე აკრავენ მათი დანიშნულებისა და საქმიან-
ნობის აღსანიშნავად.

ახლა ვნახოთ ჩვენი ფირნიშები. თქვენი არ ვიცი და მე
კი სულ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ვიდაცას
ჩამოუვლია თბილისის ქუჩებში გასაშლელი კიბით,
შტამპითა და მელნიანი ბალიშით და შენობებზე მიუტყე-
პებია ერთი ყაიდის წარწერები საინვენტარისაციო ნომ-
რებივით, მაინცდამაინც გამოსაჩენ ადვილზე რომ დაუ-
სვამენ სოლმე თეთრეულსა და ნივთებს:

**თგილფანსასმავლვაჭროვის მაღაზია №1...
მაღაზია №2... მაღაზია №3... თგილქსოვილვაჭ-
როვის მაღაზია №1... მაღაზია №2... №3... საქარ-
თველოს სსრ ამა და ამ საპინისტროს ამა და ამ
გაპრთიანების ამა და ამ ტრანსტის ამა და ამ
სამმართველოს ესა და ეს ფილიალი... ესა და
ეს კანტორა... რანტორნები: ეს — „თგილისიო“,
ეს — „ბუდააპეტიო“, ეს — „ისინდიო“, ეს — „არა-
გვიო“, „სამგორიო“, „მარაბდაო“. გადავსვამთ
ეს დასახელებები! — ვითვამთ, „თგილის“ და-
ვარკვამთ „ბუდააპეტი“, „სამგორს“, — „მარაბ-
და“, „არაგვს“ — „ისინდი“. შეიცვალა ამით
რამე? არაფერი!**

მაშ, რის მაქნისია ეს აბედივით გამომშრალი სახე-
ლები? თუ დანიშნულებასა და საქმიანობას არ გამოხა-
ტავს, მაშინ ასეთი აბრის გაკვრას აზრი არა ჰქონია,
თუ აზრი არა ჰქონია, მაშინ უაზრობა ყოფილა, უაზრო-
ბას კიდევ აბრაკადაბრა ჰქვია ლათინურად.

აი, საიდან გაჩნდა ჩემი სათაური „აბრეზი — აბრა-
კადაბრეზი“.

აბრების გაბიბრება ადვილია, საქმეს რა ვუშევლო-
თო, მეტყვიოთ. რა და — სულ ცოტა, ფანტაზიაა საჭირო,
რომ საგნებს თავიანთი სახელები დაერქვას და აბრებ-
საც მეტი პეწი მიეცეს.

ლიტონი სიტყვები არ მიყვარს, შევეცადე და, მგონი,
არ გამოვიდა ცუდად. მივყვეთ წესით და რიგით — ჯერ
არსებულ ფირნიშს შეგახსენებთ, მერე ჩემსას შემოგთა-
ვაზებთ და კომენტარსაც დავურთავ იმის საბუთად, რომ
ჩემი ვარიანტი ძველზე უფრო ნაღდიც არის და უფრო
პოეტურიც:

**„თივჭაული“ — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!
(თუ მაინცდამაინც ნახვა გინდა, ავლაბარში წადი!).**

**„ოპტიკა“ — „ორთავ თვალის სინათლევ, რა-
ზეად მოგიწყინია?“ (ხეირიან „აპრაავს“ ვერ ვშოუ-
ლობ და იმაზე).**

**„გაჩის ბიურო“ — „თავს სინანული სჯოგია
გოლოქავს დანანებასა“ (გაყრა-განქორწინებას
ვეულისხმობ).**

**„ქორწინების სასლი“ — „ხელმოწერის მაღა-
ზია“ (ვინ იცის, მიიღებ კი დაპირებული ბედნიერების
ტომეულებს?).**

№ 314
12.V 1987

ივანე ლავროვი
(ქ. როსტოვი)

ქვე-სიყვები
ეროვნული
გინზლირთეკა

წინდახედული კურდღალი

- რაო, რა მოხდა, ყურცვითაგ?
საით იჩქარი, ძმობილო?
- ლომი მოდისო! — შელიამ ახლანან შემატყობინა!
- მერედა, რისი შიში გაქვს? —
მიუგო მგელმა ღიმილით.
- ლომი ლომია, მგელიკავ,
სომ იცი, შენი ჭირიმე,
ჩემისთანების სიცოცხლე
მაგას არ უღირს ჩირადა!..
- თქვა კურდღელმა და მოკურცხლა,
ულრანში გაუჩინარდა.



მეჭვირალა

ყოველ დილით მამალი
რიბიანად ყიოდა
და... სამი საქათმიდან
ხელფასი მოსდიოდა.

ლორი და ცხენი

- ცხენს ეკითხება დრუტუნა:
- დღეს როგორი ვარ, ძმობილო?
მდელიოზე ხურხაალ-ხურხაალი,
მართლაც რა კარგი ყოფილია!
 - ეჰ, ღორი, დასტურ, ღორია! —
ცხენმა გახედა გვერდულად.
 - გინდ სამოთხეში ყოფილია,
გინდა ტლაპოში გდებულა!

თარგმნა ელდარ კარძეშაძემ

უბრალონი — სსსრკესსრესი

„წიგნები“ — „ციგნები“ (წიგნი იმპორტული „ქვა-ჩკა“ და „სინკა-ლილა“ რომ ჰკონიათ და მალულად ყიდინან).

„სოროვილები“ — „ასჯარ გაზოფე და პრთხეალ გაჭირი!“ (ყოველ შემთხვევაში, თუ არ გაზოფე, ნახე-ვარი მეტრით მეტი იყიდე, ვეგუ ვეყოს საკაბედი!).

„რძის ნაწარმი“ — „ნაწარმი რძე“ (ფხვნილისა-გან რომ არის დამზადებული).

„სურსათი“ — „აქვს პრთი, სურს ათი!“ (დირექტორს, ცხადია).

„საქრეკლამა“ — „აქ რეკლამა, იქ?“ (იქ, მაღაზიებში — რეკლამაცია).

„საორტლოტო“ — „თავო ჩემო, გედი არ გიწერია!“ (30 კაპიკად გინდა აშენდე?).

„თავსანაკაული“ — „ქასი ვარ და ქუდი მსურავს!“ (თუ თავი ქუდში გაქვს, შეგიძლია, არც კი შეხვიდე შიგ!).

„ფხსსაცეალი“ — „უძირეკი“ (იმპორტულს აქ არავინ გამოგიჩენს, ჩვენსას კიდევ მეორე დღეს ძვრება ძირი).

„ნახეპარფაბრიკატები“ — „ნახეპარფაბრიკატები“ (დასლიდარების ჯიბის მიხედვით ვამბობ).

„აეროფლოტი“ — „ნურს გაფრინდეპი, ნურს მოფრინდეპი!“ (იმიტომ, რომ ვერც გაფრინდები და ვერც მოფრინდები, თუ ზამთარია, მით უმეტეს).

და ა. შ.

მოგწონთ? მე მომწონს! ყოველ შემთხვევაში, ამ ახალ ფირნიშებს რომ წაიკითხავ, მერე უფრო ნაკლები შანსი დარჩება იმისა, რომ მოგნუსხავენ, შეგიტყუებენ, მოგატყუებენ და ბოლოს პირში ჩალაგამოვლებულს გამოგისტუმრებენ!..

ერთი ტკბილი მოგონებაც: ძველი თბილისის განაპირას, სადაც ახლა ზოოპარკია, ერთი კაფანდარა დუქანი მდგარა, ფირნიში ჰქონია ასეთი: „ნე უეზუაი, გოლუბჩიკ მოი!“ სულ ჟრუანტელს ჰგვრიდა თურმე ახაბაკებულ მგზავრებს.

ეჰ, „რა კარგი იყო ბარდნალა, ბარდნალელების ბორანი“!..

დონ პედრო

ნახ. მ. აბაშიძისა



— ეს ისე გარდაქმნილია, მგონი ზედმეტი ამიწონა!

სისტემატურად ამასინჯებდნენ ანგარიშგებას გეგმეკორის ჩაის ფაბრიკების გაერთიანებაში. 1981-1985 წლებში აქ მაჩვენებლებს წაამატეს 20 მილიონი მანეთი. მაგრამ საუწყებო რევიზიებმა, რომლებიც არაერთგზის მოაწყო ყოფილმა ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა, ვერც ერთი ასეთი ფაქტი ვერ გამოავლინა.

87-344
საბჭოთა
საბჭოთა

საბჭოთა და იუზურის
ქურანალი „ნიანგი“ № 9
(1739). მისი. გამოდის
1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გომეზაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
კახუა ამირეჯიბი, ნოშადი
ხართია, ბორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-
მალ ლოდუა, ნოდარ შა-
ლაშონია (მხატვარ-რედაქ-
ტორი), ალექსანდრე სამხო-
ნია, ბეჟან სხინაშვილიძე,
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-
ანი, თამაზ წიგწივაძე, ნაფი
ჭუსოიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად
6.04. 87 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდლად 28.04.
87 წ. ქალაქის ზომა
60x90/4, ფიზიკური ნაბე-
ჭლი ფურცელი 1,5, სააღ-
რიცხვო-საგამომცემლო თა-
ბახი 1,9, საქართველოს კ-
ქის გამომცემლობა, ლე-
ნინის 14. შეკვ. 906.
შე 02418 ტირაჟი 144.000
ქურნალი გამოდის თვეში
ორჯერ. რედაქციაში შემო-
სული მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008,
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაეების — 99-02-38,
მდივან-მემა ნქ ანის —
99-76-69.

სატირიკო - ჯორისტეჩ-
სკიი ჟურნალ «НИАН-
ГИ». (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Изда-
тельство ЦК КП Грузии,
Ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137



— შეშვსველი კი ვნახე, მაგრამ გაშვსველი სად ვეძებო?